

**საქართველოში პირველადი ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მოკლე დახასიათება**  
ციფრული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის როლი სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით დღითი დღე იზრდება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ახალი გაიდლაინი, რომელიც 2019 წლის აპრილში გამოიცა<sup>1</sup>, აკონკრეტებს ტელემედიცინის სახეებსა და მათი განხორციელების გზებს ჯანდაცვის სისტემის ყველა დონეზე, მ.შ. პირველად ჯანდაცვაში. გაიდლაინში ხაზგასმულია ციფრული ტექნოლოგიების და ტელემედიცინის როლი სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში, დაწესებულებების სელექციური კონტრაქტირებისას, ერთერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს - ელექტრონული საინფორმაციო სისტემის არსებობა.

როგორც პჯდ მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების თვით-შეფასების შედეგებიდან (2023 წლის ოქტომბერი) ვლინდება, 209 დაწესებულებიდან 175 (84%-მდე) დაწესებულებას გააჩნია გამართული ელექტრონული საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სერვისების უტილიზაციის მონაცემების ანგარიშგებას, სამინისტროს მიერ განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის კარიტასის პროექტის „პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა საქართველოში“ შეიქმნა PHC HIS პირველადი ჯანდაცვის შიდა საინფორმაციო სისტემა, რომელშიც მუშაობს რამდენიმე დაწესებულება და 23 სოფლის ექიმი/ექთანი. აღნიშნული დაწესებულებების მენეჯმენტი და სამედიცინო პერსონალი რეალურ რეჟიმში ახდენენ კლინიკის და სამედიცინო პროცესის სამართავად ყველა საჭირო ინფორმაციის რეგისტრაციას და ანგარიშგებებს სხვადასხვა მიზნით.

ელექტრონული სისტემების წარმატებით დანერგვის მიზნით (წარმოდგენილია რამდენიმე თემატური ასოციაციის დადებითი დასკვნა/რეკომენდაცია ელექტრონული სისტემის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში გამოყენების თაობაზე), ჯანდაცვის სამინისტრო გეგმავს ელექტრონული სისტემების ქვეყნის მასშტაბით გავრცელების ხელშეწყობას.

კერძო სამართლის იურიდიული პირის მქონე სამედიცინო დაწესებულებები თავად უზრუნველყოფენ სათანადო სიმძლავრის კომპიუტერის საშუალებით ელექტრონული სისტემების ადმინისტრირებას და სრულად უზრუნველყოფენ საკუთარი კლინიკის ოპერირების შესახებ ინფორმაციის დაცვას, ხოლო სოფლის ექიმების ნაწილში, სავსებით შესაძლებელია აღნიშნული ელექტრონული სისტემის გამოყენება იმ კონფიგურაციით, როგორც ის პროექტის ფარგლებში, არის შექმნილი.

პროგრამა არის მარტივი, განსაკუთრებით მათთვის ვისაც გააჩნია ელექტრონული სამედიცინო ისტორიების და სხვა შიდა კლინიკური პროცესების ელექტრონულად წარმოების გამოცდილება.

აღნიშნული ელექტრონული მოდული ინტეგრირებულია სამოქალაქო რეესტრთან, რასაც მინიმუმამდე დაყავს პაციენტების დუბლირების და/ან არასწორი რეგისტრირების შესაძლებლობა.

სისტემის ძირითადი მოდულებია:

1. ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერები
2. რეცეფცია/რეგისტრატურა
3. კადრები
4. ფინანსური ნაწილი
5. რიგების მართვა
6. ანალიტიკა

სამედიცინო ისტორიის ელექტრონული მოდული შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც არსებული კანონმდებლობით მოთხოვნილია ამბულატორიული სამედიცინო ისტორიების წარმოების ბრძანების მიხედვით. ასევე, არის შესაძლებლობა, ელექტრონულად იყოს წარმოებული ამავე ბრძანებით მოთხოვნილი სხვადასხვა ჟურნალები (ამბულატორიული ვიზიტების, პაციენტის რეგისტრაციის, შრომის უუნარობის ფურცლის რეგისტრაციის, ფორმა 100-ის წარმოების, ლაბორატორიული კვლევების რეგისტრაციის და სხვა ჟურნალები).

მოდულში ინტეგრირებულია ქრონიკული დაავადების რეესტრები და მათი მართვისთვის საჭირო ინსტრუმენტები ე.წ. „ფლოუშითების“ და ავტომატური შემახსენებლების სისტემა, რაც ამარტივებს პირველადი ჯანდაცვის გუნდის მიერ პაციენტის ადეკვატურად მართვის პროცესებს.

ასევეა შესაძლებელი ძირითადი სტატისტიკური ინფორმაციის ავტომატური გაცვლა შესაბამის ელპორტალებთან (ფორმა N 025, PHC EMR-ზე მონაცემების ატვირთვა).

პროგრამას აქვს რიგების მართვის მოდული, რაც გულისხმობს ჩაწერის შესაძლებლობას და პაციენტების ნაკადის მართვის შესაძლებლობას.

ჯანდაცვის სამინისტროსათვის მნიშვნელოვანია არის არა სამედიცინო დაწესებულების ოპერირების პროცესში არსებული ინფორმაციის რეგისტრაცია საკუთარ სერვერებზე, არამედ, მნიშვნელოვანია სამედიცინო ინფორმაციის შეგროვება ცენტრალიზებულად - PHC EMR-ში, სადაც ერთიანი ინტერფეისით იქნება შესაძლებელი პაციენტის სამედიცინო ინფორმაციის შეგროვება.

აღნიშნული პროცესების მხარდასაჭერად, კარიტასის პროექტის ფარგლებში, ასევე, შეიქმნა პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო ინფორმაციის საცავი (ე.წ. PHC EMR), სადაც

ინფორმაცია უნდა გროვდებოდეს ლოკალურად არსებული ინფორმაციული სისტემებიდან ანუ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში ფუნქციონირებადი სხვადასხვა შიდა საინფორმაციო სისტემებიდან. ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას არა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვება, არამედ მისი მიმოცვლა. აღნიშნული მონაცემთა საცავი, ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს გამართული სამინისტროს სერვერულ ინფრასტრუქტურაში.

სწორედ ამ მიზნით, უახლოეს მომავალში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდება იმ სამედიცინო ცვლადების შერჩევა/დამტკიცება, რომელიც პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში წარმოიქმნება სამედიცინო საქმიანობის დროს და ჩადებული არის PHC MIS-ში და რომელთა მიმოცვლა უნდა მოხდეს PHC EMR-ში.

სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინდიკატორები საფუძველი გახდება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებისათვის, რათა საკუთარი ელექტრონული სისტემები შესაბამისობაში მოიყვანონ აღნიშნულ ინდიკატორებთან, რაც, ასევე, მონაცემთა მიმოცვლის საფუძველი იქნება PHC EMR-თან და უზრუნველყოფს პაციენტის შესახებ შეთანხმებული ცვლადების მიხედვით, ინფორმაციის შეგროვებას ერთიან სივრცეში, რაც პაციენტებს და სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებს დაეხმარებათ გასწიონ ადექვატური და ეფექტური მკურნალობა.

PHC EMR-ის ინდიკატორებზე შეთანხმების შემდეგ, განხორციელდება აქტიური სამუშაოები ჯანდაცვის სამინისტროს თემატურ სამსახურებთან, სხვადასხვა ანალიტიკური ანგარიშების განსასაზღვრად, რომლის შესახებაც გარკვეული გამოცდილება უკვე დაგროვდა ელექტრონული სისტემების რეალურ რეჟიმში ამუშავების შემდეგ, პროექტში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტთან მჭიდრო თანამშრომლობით.

აღნიშნული პროცესების წარმატებით განხორციელება განაპირობებს აღნიშნული მოდულის ინტეგრაციას სხვადასხვა სამედიცინო საინფორმაციო სისტემებთან, როგორცაა დაბადების რეგისტრი, 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობა, იმუნიზაციის პორტალი, სკრინინგის პროგრამა, კიბოს რეგისტრი და ა.შ. რათა შესაძლებელი გახდეს ყველა მონაცემის ერთ სისტემაში თავმოყრა და პაციენტების მართვის ოპტიმიზაცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2022-2023 წლებში, UNICEF-ის მხარდაჭერით განხორციელდა პჯდ პროფესიონალების რესურსების გაძლიერება ადრეული ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაში ციფრული ჯანდაცვის ტექნოლოგიების გამოყენებისა და ტელეკონსულტაციების დანერგვის თვალსაზრისით; ასევე, არსებული “0-6 წლის ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის” ელექტრონული მოდულის შემდგომი სრულყოფა და დანერგვა საქართველოს მასშტაბით შერჩეულ პჯდ დაწესებულებებში, მოდულის ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოების პარალელურად.

---

<sup>i</sup> WHO guideline: recommendations on digital interventions for health system strengthening. Geneva: World Health Organization; 2019 (<https://apps.who.int/iris/handle/10665/311941>).